2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 4

დაბა ხარაგაული **14 ნოემბერი 2025 წ.**

2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის" სხდომა გაიხსნა 2025 წლის 14 ნოემბერს.

სხდომა ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი ცხრა აპრილის ქუჩა N 15.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის N ბ68.682 505 93 ბრძანების საფუძველზე.

„მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის Nბ68.682 505 93 ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი

ჯგუფის თანათავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი,

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მერის მოადგილე დავით დევდარიანი,

მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სპეციალისტები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი.

დღის წესრიგი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის სამუშაო ჯგუფისათვის განსახილველად წარდგენა.

<u>**შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეეხება**</u> მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის განხილვას, რომელიც შედგენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ -ს ნინო მაღლაკელიძის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით. რომელმაც სამუშაო ჯგუფს მოკლედ წარუდგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის შესახებ, რომელიც დაიგეგმა საკუთარი შემოსულობების, ფინანსთა სამინისტროდან 2 ოქტომბერს მიღებული წერილისა და საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" პირველი და მეორე წარდგენის გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდებ 14.6%-თ, 2 509. 1 ათასი ლარით (მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება 1 800,0 ათასი ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი 6,4 %-ით 709,1 ათასი ლარით), მუნიციპალიტეტს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად

გამოეყოფა 216,0 ათასი ლარი, რომელიც მათ შორის 191,0 ათასი ლარი საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და 25,0 ათასი ლარი ზოგიერთი სოციალური პროგრამის დელეგირების განსახორციელებლად.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები და გაზრდილი/შემცირებული ფინანსური გათვალისწინებით გადაწყვიტა:

დაზუსტდეს 2026 წლისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები და მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები განისაზღვროს **დანართის** მიხედვით.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა ბიუჯეტის პროექტი და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები და ერთხმად მოიწონა მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტი და მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

კობა ლურსმანაშვილი

თანათავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი

სამუშაო ჯგუფის წევრები:

დავით დევდარიანი

კახაბერ გოლუბიანი

პეტრე შარიქაძე

ზურაბ იჩქიტიზე

ნანა კიკნაძე

ინგა ლურსმანაშვილი

ირინა ჩხეიძე

ზურაბ ბანცაძე

მარინა კვინიკაძე

ნინო მაღლაკელიძე

ეკა დვალიშვილი

ვასილ შარიქაძე

ლალი ვაქერ-სებისკვერაძე